ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 302

30 ივნისი
"---" -------- 2023 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში, ევროპის მოედნის მიმდებარედ არსებული 963 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.090.023) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დავით სარაჯიშვილის საგამოფენო პავილიონისთვის" (ს/ნ. 405606143) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის №199 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 ივნისის №23.947.1038 განკარგულების და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დავით სარაჯიშვილის საგამოფენო პავილიონის" (ს/ნ. 405606143) 2023 წლის 6 ივნისის №2 (რეგისტრ. №10/01231572727-61), 2023 წლის 14 ივნისის №3 (რეგისტრ. 10/01231651583-61) წერილების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. „ქალაქ თბილისში, ევროპის მოედნის მიმდებარედ არსებული 963 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.090.023) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დავით სარაჯიშვილის საგამოფენო პავილიონისთვის" (ს/ნ. 405606143) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის №199 განკარგულების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისში, ევროპის მოედნის მიმდებარედ არსებული 963 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.090.023) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დავით სარაჯიშვილის საგამოფენო პავილიონისთვის" (ს/ნ. 405606143) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე".

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ევროპის მოედნის მიმდებარედ არსებული 963 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.090.023) პირდაპირი განკარგვის წესით

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დავით სარაჯიშვილის საგამოფენო პავილიონისთვის“ (ს/ნ. 405606143) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 ივნისის №23.947.1038 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ევროპის მოედნის მიმდებარედ არსებული 963 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან ამ განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილი სიტუაციურ ნახაზზე მონიშნული 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.090.023) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დავით სარაჯიშვილის საგამოფენო პავილიონისთვის“ (ს/ნ. 405606143) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, დავით სარაჯიშვილის სახელობის, მსუბუქი კონსტრუქციის მქონე საგამოფენო პავილიონის განთავსების მიზნით“.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე